

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 55

ქ.თბილისი

2021 წლის 22 ივნისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 22 ივნისს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ზ. შავგულიძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის დ. ბალუაშვილი წითელი ბარათის ოქმები, ამა წლის 20 ივნისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, ქობულეთის „პონტო“-სა და ჭათურას „ჭიათურა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე დავით ვოიჩუკი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე ნიკა ვერულიძე - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 2.7 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე დავით ვოიჩუკი - ძალაში დარჩეს წითელი ბარათის მიღებით 1(ერთი) კვირით დისკვალიფიკაცია .
2. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე ნიკა ვერულიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/